




კონცეფცია

პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების/ კოლეჯების ეკონომიკური
საქმიანობის განხორციელების შესახებ

სექტემბერი, 2020

შინაარსი

შესავალი.....	4
რას გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/ კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება	4
რა მნიშვნელობა აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/ კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას	5
რას გულისხმობს კონცეფცია და რა არის მისი მიზანი	7
ტერმინთა განმარტება	8
მარეგულირებელი გარემოს ანალიზი	10
„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი	12
სხვა დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.....	17
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი	18
„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი	21
სამოქალაქო კოდექსი	25
საგადასახადო კოდექსი	27
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.....	29
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი	30
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.....	31
დამატებით რეგულაციები	32
განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა	35
„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში	35

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში.....	38
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში.....	38
რისკების, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და მათი მიტიგაციის სტრატეგიების წინასწარი განსაზღვრა	40
რისკები და ხელისშემშლელი ფაქტორები:	40
მიტიგაცია:.....	42
დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა	44
არსებული და პოტენციური დაინტერესებული კომერციული მხარეების განსაზღვრა	44
დაინტერესებული საჯარო მხარეების განსაზღვრა:	45
განათლების სისტემაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა	45
ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მონახაზი	46
კომერციალიზაციის მიზნებისთვის საქონლის/მომსახურების შერჩევის მეთოდოლოგია	46
საწარმოო კომპონენტების შესყიდვის მეთოდოლოგია.....	46
კომერციულ და სასწავლო აქტივობებს შორის რესურსების გადანაწილების მეთოდოლოგია	49
ფასწარმოქმნის, ხარჯების ალოცირებისა და სახელფასო ანაზღაურების მეთოდოლოგია	51
საქონლის/მომსახურების მიწოდების მეთოდოლოგია.....	54
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპი.....	56

შესავალი

რას გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/ კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება

პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/კოლეჯებში (შემდგომში - კოლეჯები) ყოველწლიურად იქმნება გარკვეული რაოდენობის პროდუქცია, რომლის რეალიზების სრულად ჩამოყალიბებული მექანიზმები სისტემაში ამ დრომდე არ არსებობს. ამავდროულად იმისა, რომ კოლეჯებს შესაძლებლობა აქვთ არსებული ან/და საკუთარი შემოსავლების გამოყენებით შეძენილი რესურსებით აწარმოონ პროდუქცია, მოახდინონ მათი რეალიზაცია ან/და განახორციელონ მომსახურება, პრაქტიკულად ეს პოტენციალი მათ მიერ გამოუყენებელია.

შესაბამისად კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება გულისხმობს სასწავლო პროცესში შექმნილი ან სხვა კომერციული საქმიანობის ფარგლებში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციას, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს კოლეჯების ფინანსურს მდგრადობას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის მიზნების შესრულებას სხვადასხვა მიმართულებით.

რეალიზაციის საკითხი სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ კოლეჯებში არაერთი წლის განმავლობაში მწვავედ დგას. პირველ რიგში მკაფიო საკანონმდებლო ბაზისა და სათანადო ინსტრუქციების არარსებობის გამო, ვერ ხერხდება სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია და მიღებული

შემოსავლების კოლეჯების მიზნებისათვის გამოყენება. მიუხედავად იმისა რომ დღეისათვის ეკონომიკური საქმიანობა ნებადართულია კანონმდებლობით, კოლეჯებისათვის მთავარი ხელისშემშლელ ფაქტორებად რჩება შესყიდვისა და გაყიდვის პროცესის მოუქნელობა, რაც თავის მხრივ იწვევს ეკონომიკური ინიციატივების დახშობასა და განუხორციელებლობას

რა მნიშვნელობა აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/ კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას

პროფესიული კოლეჯების დაფინანსების მოდელის მიხედვით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაწესებულებების მიერ ინიცირებულ დამატებით შემოსავლის მომტან აქტივობებს (Income Generating Activities). აღნიშნული შემოსავლის წყაროს აქვს რამდენიმე დადებით მხარე, ესენია:

- დამატებითი შემოსავლების ხარჯზე კოლეჯები შეიმცირებენ დაფინანსების საჭიროებას;
- კოლეჯებს უჩნდებათ დამატებითი რესურსი ინსტიტუციური განვითარებისათვის;
- ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული სამუშაო ძალა (სტუდენტების სახით) სამუშაო ბაზარზე ირიბად შესვლას ახორციელებს კურსის / პროგრამის სრულ დამთავრებამდე;
- ეკონომიკური საქმიანობა ხელს უწყობს კოლეჯში კერძო სამეწარმეო კულტურის განვითარებას;
- ეკონომიკური საქმიანობა არის სასწავლო პროცესის შემავსებელი ნაწილი და დამატებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ კურსდამთავრებულთა მომზადებისა ზრდას.

სასწავლო პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს კოლეჯების ფინანსურ მდგრადობას და ხელს შეუწყობს კოლეჯის მიზნების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

გაუმჯობესება-განახლებას, პედაგოგებისა და სტუდენტების უცხოეთში სტაჟირებაზე გაშვებას, პრეზენტაციებისა და გამოფენების მოწყობას, PR აქტივობებს და ა. შ.

სასწავლო პროცესში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია კოლეჯებს საშუალებას მისცემს, ერთის მხრივ, ჯანსაღი კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს, მეორეს მხრივ გაამყარონ თანამშრომლობითი ურთიერთობები. მაგალითად, კოლეჯები, რომლებსაც აქვთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები, იღებენ რძეს და ჰყავთ ნამატი, ერთის მხრივ, შემოსავალს მიიღებენ შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, ხოლო მეორეს მხრივ, ითანამშრომლებენ ისეთ კოლეჯთან, რომელიც რძის გადამამუშავების მიმართულებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს.

ასევე წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესში სტუდენტები განვითარებენ სამეწარმეო და შრომით უნარ-ჩვევებს, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებელს რეალურად გაზრდის.

კოლეჯებისა და პროფესიული სტუდენტების მონაწილეობა მცირე მეწარმეობის განვითარებაში, გაზრდის ნდობას შრომის ბაზარზე პროფესიული სტუდენტების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობის და მოტივაციის ამაღლებას. ამასთან კოლეჯისა და სტუდენტების ურთიერთობის გამყარებას პარტნიორ-ორგანიზაციებთან და დამსაქმებლებთან, მათ შორის კლიენტებთან. ასევე, მსგავს აქტივობებში ჩართვა ხელს შეუწყობს კოლეჯის ცნობადობას, იმიჯის ამაღლებასა და კონტიგენტის მოზიდვას.

დღესდღეობით არაერთ კოლეჯშია შექმნილი შესაბამისი ბაზა (სასწავლო საწარმოები, სასტუმროები და ა.შ), რომელთა გამოყენებაც ხდება სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების, მაგრამ არა სამეწარმეო უნარების განვითარებისათვის. სამინისტროსთვის სტუდენტთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება პრიორიტეტულია. მეწარმეობის მოდული სავალდებულო კომპონენტია ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ამასთან, 2015 წელს მომზადებული კონცეფცია (პროფესიული განათლების სისტემის მიერ მეწარმეობისა და თვითდასაქმების მხარდაჭერის კონცეფცია) ხაზს უსვამს, რომ სტუდენტთა სამეწარმეო იდეები მხარდაჭერილი უნდა იყოს, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე სწავლის დასრულების შემდეგ. ეს ხედვა ასახულია პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში და იგი სრულად პასუხობს ევროკავშირის

რეკომენდაციებს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა განვითარდეს მეწარმეობის პრაქტიკული სწავლება და ამ მიმართულებით სხვა საშუალებებთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს რეალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული მეთოდებიც, რისი პოტენციალიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს, ან გასაძლიერებელია.

რას გულისხმობს კონცეფცია და რა არის მისი მიზანი

აღნიშნული კონცეფციის მთავარი მიზანია შექმნას ჩარჩო წესი რომლის შედეგადაც კოლეჯებს შეეძლებათ თანმიმდევრულად განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა და ზემოთ აღნიშნული დადებითი შედეგების მიღწევის ხარჯზე არ მოხდეს კოლეჯის ადმინისტრაციული რისკის პროფილის ზრდა. აღნიშნულის გამო ეკონომიკური საქმიანობის კონცეფცია დაიყოფა მეთოდოლოგიებად რომლებიც აწესრიგებენ კოლეჯის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ინიცირების, განხორციელებისა და მართვის პროცესს

კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება დაიყოფა ორ ეტაპად:

ეტაპი 1 - გარდამავალი პერიოდი, რომლის მანძილზეც მოხდება კოლეჯების მიერ სხვადასხვა ეკონომიკური ინიციატივების დაწყება. აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოხდეს ფულადი, ფიზიკური და ადამიანური რესურსების კონცენტრირებული მართვა პროცესების ნორმალიზაციამდე. აღნიშნულ ეტაპზე საჭირო იქნება მაკონტროლებლის მეტი ჩართულობა და ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა კომპონენტების მეტი კონტროლი რათა გამოირიცხოს კოლეჯების მიერ შეცდომების დაშვების ალბათობა.

ეტაპი 2 - ნორმალიზაციის პერიოდი - აღნიშნულ ეტაპზე შესაძლებელია სხვადასხვა რეგულაციების შერბილება რაც საშუალებას მისცემს კოლეჯებს დამოუკიდებლად მიიღონ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, გადანაწილონ რესურსები, განახორციელონ საქმიანობა შვილობილი ორგანიზაციების მიხედვით და ა.შ.

ქვემდებარე დოკუმენტი ემსახურება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პირველი ეტაპის რეგულირებას. ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიების წესებისა და დამშვებების განსაზღვრა/დაზუსტება მოხდება პროფესიული კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მომავალ რედაქციებში.

ტერმინთა განმარტება

1. ეკონომიკური აქტივობის განაცხადი - საგანმანათლებლო დაწესებულების („კოლეჯის“) მიერ ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზნით მომზადებული ფორმალური განაცხადი რომლის დადასტურებაც ხდება მაკონტროლებლის მიერ და რომელიც წარმოადგენს კოლეჯის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზამკვლევეს. განაცხადის მიზანია კოლეჯის მიერ გააზრებულად მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის დეტალური ანალიზი, მისი უპირატესობების შესწავლა, ეკონომიკური და საგანმანათლებლო სარგებლის განსაზღვრა, განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების იდენტიფიცირება და ა.შ. ეკონომიკური აქტივობის განაცხადი მოიცავს:
 - 1.1. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თანხვედრა სასწავლო დაწესებულების მიზნებთან და გეგმებთან.
 - 1.2. საქონლისა ან/და მომსახურების აღწერილობა.
 - 1.3. წლიური წარმადობის მაჩვენებელი.
 - 1.4. საპროგნოზო თვითღირებულების დეტალურ დაანგარიშება კომპონენტებისა და დანახარჯების მიხედვით.
 - 1.5. საპროგნოზო გაყიდვების მაჩვენებლები.
 - 1.6. საპროგნოზო მომგებიანობის მაჩვენებლები.
 - 1.7. წარმოების პროცესში ჩართული სამუშაო ძალის პროგნოზი და სასწავლო პროცესთან შეფარდება.
 - 1.8. რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზი.
 - 1.9. ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ინდიკატორის განსაზღვრა.
 - 1.10. ეკონომიკური აქტივობის შედეგად პრაქტიკული სწავლების ჩანაცვლების შესაძლებლობები.

- 1.11.სარეზერვო დანახარჯების განსაზღვრა და დათვლის მეთოდოლოგია.
2. მმართველობითი ანგარიშგების ფორმა - მმართველობითი ანგარიშგების ფორმა არის ფინანსურ ანგარიშთა პაკეტი რომელსაც კოლეჯი აწარმოებს პერიოდულად (თვიური/კვარტალური) IFRS/IPSAS სტანდარტების ან/და მაკონტროლებლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიების მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგების ფორმა მოიცავს:
 - 2.1. ფაქტიური გაყიდვების მაჩვენებლებს.
 - 2.2. ფაქტიური თვითღირებულების მაჩვენებლებს.
 - 2.3. პირდაპირი (საქონელი/მომსახურება, შრომა) და არაპირდაპირი (ალოცირებული ხარჯები) ხარჯების დეტალურ დაანგარიშებას.
 - 2.4. სამუშაო ძალის (ინსტრუქტორი/მოსწავლე/დამატებითი კადრი) ფაქტიური გამოყენებისა და დანახარჯების რეზერვის ანგარიში.
 - 2.5. რესურსების გამოყენების რეესტრი - ძირითადი ინდიკატორის მოხმარების ანგარიში.
3. ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი - კოლეჯის მიერ წარმოებული და მაკონტროლებლისთვის წარდგენილი ჯამური/კრებსითი ანგარიში რომელიც მოიცავს კოლეჯის ფარგლებში განხორციელებული ყველა ეკონომიკური საქმიანობის ძირითად პარამეტრებს.
4. სარეზერვო დანახარჯები - კოლეჯის მიერ უძრავი/მოდრავი ქონების ან/და შრომითი რესურსის უსასყიდლოდ გამოყენებისთვის დაანგარიშებული პირობითი დანახარჯის მოცულობა რომელიც გამოითვლება მაკონტროლებლის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით.
5. ძირითადი ინდიკატორი - წარმოადგენს ეკონომიკური და სასწავლო საქმიანობის მოცულობის უნივერსალურ საზომ ერთეულს (მაგ: კაც/საათი, მანქანა/საათი, კვ/სთ და ა.შ.).

მარეგულირებელი გარემოს ანალიზი

ძირითადი და დამოკიდებული კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების ანალიზი (სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი, სსიპ-ების შესახებ კანონი, სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი და ა.შ.)

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები, რომლითაც დაშვებულ იქნა ეკონომიკური საქმიანობიდან დამატებითი შემოსავალის მიღების შესაძლებლობა, პირველად 2007 წლის „**პროფესიული განათლების შესახებ**“ საქართველოს კანონით იქნა განსაზღვრული.


აღნიშნული კანონის 35-ე მუხლის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება ჰქონდა მოეზიდა საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიეღო შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ იყო სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებდა სწავლების ხარისხზე. მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხმარებოდა მხოლოდ დაწესებულების მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას.

მანამდე მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ „**დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ**“ და „**განათლების შესახებ**“ საქართველოს კანონებში მსგავსი უფლებამოსილების მარეგულირებელი ნორმები არ გვხვდებოდა.

2018 წელს მიღებულ იქნა ახალი და დღეს მოქმედი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც კოლეჯის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობა ძალაში დატოვა და მანამდე არსებული მარეგულირებელი ნორმები უფრო მეტად განავრცო და დააზუსტა.

ქვემოთ მოცემულ ნაწილებში განხილულია ყველა ის ძირითადი მარეგულირებელი საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე და შესაძლებლობაზე.

აღნიშნულის ინფორმაციის წარმოსადგენად მოცემულია გრაფიკული გამოსახულება (იხ. გრაფიკული გამოსახულება №1).



გრაფიკული გამოსახულება №1: კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობები არსებული სამართლებრივი რეგულირებების შესაბამისად.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი

დღეს მოქმედი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომლითაც კოლეჯებს შესაძლებლობა ეძლევათ განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, მოახდინონ სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა და ასევე განსაზღვრავს განხორციელების სხვადასხვა საშუალებებს.

ქვემოთ მოცემულია ყველა ის ნორმა, რომელიც შემხებლობაშია აღნიშნულ საკითხთან. ასევე განხილულია ის შესაძლო პრობლემები და უზუსტობები, რომელიც სამომავლოდ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

კერძოდ:

❖ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად (საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა):

1. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს.

2. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის მიზანი უნდა იყოს მხოლოდ მისი ეკონომიკური მდგრადობა, სასწავლო პროცესის განვითარება, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად

დამატებითი სახსრების მოპოვება და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

3. სასწავლო პროცესში შექმნილი საქონლის/გაწეული მომსახურების რეალიზაციიდან და დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობიდან მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხმარდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევას და მისი ფუნქციების შესრულებას.

- ❖ გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ კანონი კოლეჯებს საშუალებას აძლევს წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები, კერძოდ კანონის 32-ე მუხლის თანახმად:

1. კოლეჯი უფლებამოსილია ამ კოლეჯის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დააფუძნოს სამეწარმეო იურიდიული პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯის მიერ სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევაში კოლეჯი უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს/აქციებს.

2. სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება უნდა შეთანხმდეს მის დამფუძნებელ ორგანოსთან/ორგანოებთან.


- ❖ ამავე კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი (კოლეჯის ქონება) კოლეჯებს შესაძლებლობას აძლევს მის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს გადასცეს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, კერძოდ:

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობის საფუძველზე კოლეჯი უფლებამოსილია ეკონომიკური საქმიანობიდან

მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება მის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადასცეს. სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება, რომელიც მას ამ მუხლით დადგენილი წესით გადაეცა, ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ სრულად უბრუნდება შესაბამის კოლეჯს.

ზემოთ მოცემული რეგულაციების შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯებს შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული, არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე და ძირითადად გვთავაზობს აღნიშნული უფლებამოსილების პირდაპირი განხორციელების ორ გზას, რომელიც გრაფიკულ გამოსახულებაშია მოცემული (იხ. გრაფიკული გამოსახულება №2).

პირველი გულისხმობს პროდუქციის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას უშუალოდ კოლეჯის სამართლებრივი ფორმის ქვეშ, ხოლო მეორე კერძო სუბიექტისთვის (კოლეჯის ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კერძო პირზე) ქონების გადაცემით პროდუქციის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საუბარია, მხოლოდ კოლეჯის მიერ საკუთარი შემოსავლით შეძენილი ქონების (არა სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონებით) გადაცემით შექმნილი პროდუქციის რეალიზაციაზე/მომსახურების გაწევაზე.



გრაფიკული გამოსახულება №2: კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობები „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ფართო უფლებამოსილებისა, კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები გარკვეულ ნაწილში შეზღუდულია, მაგალითად კოლეჯს არ შეუძლია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება პირდაპირ გადასცეს (უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით) სხვა კერძო სამართლის სუბიექტს, რომელიც მის მიერ არ არის დაფუძნებული.¹ ასევე არ შეუძლია სახელმწიფო ქონების (არ იგულისხმება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება) სარგებლობაში გადაცემა მოახდინოს აუქციონისა და მთავრობის ნებართვის გარეშე.

ამავე მუხლის მიხედვით სრულად არ არის რეგულირებული მის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვის სამართლებრივი სტატუსი, ვინაიდან 34-ე მუხლის მე-4

¹ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

პუნქტი ითვალისწინებს მხოლოდ გადაცემული ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებას და არ არეგულირებს იმ ქონების საკითხს, რომელიც სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქმიანობის ფარგლებში დამატებით იქნა შექმნილი, შეძენილი ან მიღებული.

ცალკე აღსანიშნავია ისეთი საკითხები, რომელიც არ გვხვდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და კონცეფციის ფარგლებში შესაძლოა საჭირო გახდეს მათი განსაზღვრა/დაზუსტება, მაგალითად:

- კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის პრინციპები, რომელიც საბაზრო პირობებში უნდა ეფუძნებოდეს ჯანსაღ და ღია კონკურენციას კერძო სექტორთან მიმართებაში. ამ მხრივ სახელმწიფოს მხარდაჭერის გამოყენება (მ.შ. რესურსებით) არ უნდა მოხდეს არაკეთილსინდისიერად არაკონკურენტული ფასების მისაღებად. ასევე ფასდაკლების შესაძლებლობას (მაგალითად, კვებაზე) სტუდენტებისთვის და მომუშავე პერსონალისთვის;
- ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირება სასწავლო პროცესში ან/და ცალკე კომერციული ხაზის ჩამოყალიბება;
- სასწავლო პროგრამებისა და კურსების მორგება ბაზარზე და საწარმოო პროდუქციაზე/მომსახურებაზე;
- აკრძალვები, მაგალითად, რომელიც არ გამომდინარეობს სასწავლო პროგრამებიდან ან/და დებულებიდან;
- ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის აკუმულირებისა და განკარგვის საკითხები (მაგალითად, შემოსავლის აკუმულირება უნდა მოხდეს სახაზინო თუ საბანკო ანგარიშებზე. როგორ უნდა გადანაწილდეს ხარჯები, რა პროპორციითა და მიზნობრიობით - ფუნქციონირების ან/და შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based));

- *ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საკითხები (დირექტორი/სამეთვალყურეო საბჭო/კომისია ან სხვა).*

ასევე უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს კოლეჯების მიერ გასული წლის საქმიანობის ანგარიშგებას მაკონტროლებელ ორგანოსთან, აუცილებელია, რომ ამ ანგარიშის წარდგენის მექანიზმები, ფორმები და ვადები, რომელშიც ინტეგრირებული იქნება კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის შედეგები და მიღწეული მიზნები.

აქვე დამატებით უნდა ითქვას, რომ იმ კოლეჯების საქმიანობა, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებობენ, უფრო მეტად არიან ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საკანონმდებლო რეგულირებების ქვეშ მოქცეულნი, ვიდრე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახით დაფუძნებულები, ვინაიდან სსიპ-ის შემთხვევაში თანაბრად ვრცელდება როგორც საჯარო კანონმდებლობა, ისე კერძო, მაშინ როდესაც, ა(ა)იპ-ზე ძირითად (გამონაკლისების გარდა) ვრცელდება კერძო კანონმდებლობა.

სხვა დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში სხვა მარეგულირებელი ნორმები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არ არის წარმოდგენილი და ზემოთ მოცემული რეგულაციების შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ექცევა სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოქმედების ქვეშ.

სხვა კანონმდებლობიდან, რომლის რეგულაციებიც შემხებლობაშია კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობასთან მნიშვნელოვანია:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კოლეჯების უმრავლესობა სწორედ ამ სამართლებრივი ფორმით (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) არიან ჩამოყალიბებულნი.

აღნიშნული კანონი გარკვეულწილად თანხვედრაშია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და მე-13 მუხლის პირველი პუნქტი (დაფინანსება) იძლევა შესაძლებლობას საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსების წყარო სხვა სახსრებთან ერთად იყოს:

- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო

ნორმატიული აქტით) და წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემის განვითარებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

აღნიშნულ კანონში ნიშანდობლივია მე-13 მუხლის 2¹ პუნქტი, რომელიც ადგენს ისეთ რეგულაციას, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არ გვხვდება და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების გადაცემასთან არის დაკავშირებული, კერძოდ:

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით, მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები გადასცენ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემაში შემავალ სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მისი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად.

მიუხედავად იმისა, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „სასწავლო პროცესში შექმნილი საქონლის/გაწეული მომსახურების რეალიზაციიდან და დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობიდან მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხმარდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევას და მისი ფუნქციების შესრულებას“, არ აკონკრეტებს თუ როგორ და ვისი მეშვეობით უნდა მოხდეს დაწესებულების მიზნების მიღწევა და ფუნქციების შესრულება, ეს შეიძლება იყოს სისტემაში შემავალი სხვა ორგანიზაციის მეშვეობითაც.

თუმცა ასეთი დაშვება რამდენად მისაღები იქნება ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციასთან მიმართებაში საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან

კოლეჯების მიერ მიღებული შემოსავლების გადაცემამ, შესაძლოა გამოიწვიოს დემოტივაცია და ამ მხრივ აქტივობების შემცირება, შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based) მიღებული შემოსავლების განკარგვის შეუძლებლობა ან/და არაეფექტური გამოყენება სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ თავისი შინაარსით აღნიშნული მოქმედება დაკავშირებული იქნება მათი მიზნების მიღწევასთან და ფუნქციების შესრულებასთან.

ასევე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი (საქმიანობა), რომლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ:

„თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი“.

აღნიშნულ კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტში არ არის დამატებით მოცემული არსებობის ზღვარი ან მისი განსაზღვრის კრიტერიუმები. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯები მოექცევიან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ინტეგრირება მოახდინონ გარკვეული ეკონომიკური აქტივობების.

ამავე დროს კოლეჯების ზედამხედველობას, რაც გულისხმობს კოლეჯის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს, ახორციელებს დამფუძნებელი ორგანო. ამ მხრივ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“² და „პროფესიული განათლების შესახებ“³ საქართველოს კანონებში მოცემული რეგულაციები თანხვედრაშია.

² მუხლი 11.


³ მუხლი 33.

აღნიშნული კი იმას გულისხმობს, რომ დამფუძნებელმა ორგანომ სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში უნდა მოახდინოს კოლეჯის საქმიანობისა და სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლის არსებობის შეფასება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის ფარგლებში განხილულ იქნას საკითხი თუ რამდენად უნდა გავრცელდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის რეგულაცია კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობაზე ან ასეთი დაშვების შემთხვევაში განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება არსებობის ზღვარი იმ ბალანსით, რომ ერთის მხრივ უარყოფითად არ იმოქმედებს კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელობაზე და მეორეს მხრივ არ გამოიწვევს კოლეჯის ძირითადი მიზნის შეცვლას და სამეწარმეო საქმიანობაში არსებით გადასვლას.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი

კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობებიდან „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ყველაზე მეტად შემხებლობაში მყოფ რეგულაციას, რომელსაც გავლენა ექნება კოლეჯებზე იმ შემთხვევაში თუ პროდუქციის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას განახორციელებენ სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების განკარგვით კერძო სუბიექტზე, როგორც სახელმწიფოს, ისე კოლეჯის მიერ დაფუძნებულზე (იხ. გრაფიკული გამოსახულება №3).



გრაფიკული გამოსახულება №3: კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობები „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

თუმცა, ამავე დროს სანამ ზემოთ განხილულ ძირითად მიდგომას დავუბრუნდებით, ამ ნაწილში პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ზოგადად კოლეჯების (სსიპ-ების სამართლებრივი ფორმით, რომლებიც არიან დაფუძნებულნი) მიერ წარმოებულ პროდუქციას ან შეძენილ ქონებას სახელმწიფო ქონების სტატუსი აქვთ თუ არა და უნდა გავრცელდეს თუ არა მათზე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, მიუხედავად იმისა ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში იქნა წარმოებული თუ საკუთარი სახსრებიდან. ამ საკითხის წამოჭრას განაპირობებს ის პრაქტიკები და რეგულაციების განმარტებები, რომელიც არსებობს წინამდებარე საკითხთან მიმართებაში.

მაგალითად:

არსებული პრაქტიკის მიხედვით სსიპ-ები, რომელთა ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროდუქციის წარმოება დამოუკიდებლად ახორციელებენ მათ რეალიზაციას (მაგალითად, სსიპ - „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“).


თუმცა, ამავე დროს საყურადღებოა აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც კანონის მოქმედება არ ვრცელდება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული და მის ბალანსზე რიცხული ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემაზე“.

მსგავსი ჩანაწერი კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით არ გვხვდება, რომელიც თავისი შინაარსით ერთგვაროვან საკითხს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა საკუთრებაში გადაცემა ხდება თუ სარგებლობაში (სასყიდლით ან უსასყიდლოდ).

კითხვის ნიშანი არ დგას სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ვინაიდან „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ კოლეჯი **მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას** განკარგავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით („სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად).

თუმცა, რაც შეეხება ამავე მუხლის მე-4 პუნქტს, აღნიშნულის მიხედვით სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობის საფუძველზე კოლეჯი უფლებამოსილია **ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება** მის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უსასყიდლოდ ან სასყიდლით, სარგებლობის უფლებით გადასცეს და არ არის განსაზღვრული ხაზგასმით თუ რომელი კანონმდებლობის შესაბამისად, ისე როგორც ეს ამავე მუხლის მე-3 პუნქტშია მითითებული და გამოდის, რომ ამ საკითხზე „სახელმწიფო ქონების შესახებ“

საქართველოს კანონის რეგულაციები არ მოქმედებენ (იხ. გრაფიკული გამოსახულება №4).



გრაფიკული გამოსახულება №4: კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობები „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამ ორი პუნქტის შეჯერებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ქონების შემთხვევაში განკარგვა უნდა მოხდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონების განკარგვა უნდა მოხდეს ცალსახად „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თუ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჭიროებს დაზუსტებას ერთგვარი კოლიზიის თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც სხვა მსგავსი საკანონმდებლო აქტები, როგორცაა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა წარმოადგენენ

სპეციალურ კანონებს და არ შეიძლება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი პროფესიული განათლების მარეგულირებელ სპეციალურ კანონმდებლობას წარმოადგენს) განსხვავებულად დარეგულირდეს ის ურთიერთობები, რომელიც აღნიშნულ კანონმდებლობებში საგამონაკლისო სახით არ არის განსაზღვრული, რომ კონკრეტულ მიმართულებებზე/ურთიერთობებზე არ ვრცელდება მათი მოქმედება.

ამავე დროს ქონების განკარგვასთან დაკავშირებულმა ასეთმა განსხვავებულმა მიდგომამ შესაძლოა პრაქტიკაში მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოქმნას და არაეფექტური იყოს კოლეჯის მიერ დასახულ მიზნებთან მიმართებაში (მაგალითად, თუ კოლეჯი მოინდომებს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი მოძრავი ქონების განკარგვა მოახდინოს კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, რომელიც დამონტაჟებულია კოლეჯში, ამის გაკეთება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოდის, რომ თავად შეუძლია, თუმცა ამავე დროს მას მოუწევს იჯარით გასცეს სახელმწიფო ქონება, რომელიც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აუქციონის ფორმით უნდა განკარგოს ან მიიღოს საქართველოს მთავრობის თანხმობა სახელმწიფო ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე გადაცემაზე.

სამოქალაქო კოდექსი

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული

ორგანო⁴ მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯი, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა გააჩნია, ეკონომიკურ საქმიანობას განახორციელებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ეს იქნება სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია, ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, დაქირავება, იჯარა, ქირავნობა თუ სხვა საქმიანობა.

ასევე კოლეჯი, რომელიც ა(ა)იპ-ის სახით არის დაფუძნებული წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს და ეკონომიკურ საქმიანობას განახორციელებს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ფორმის განსხვავების მიუხედავად კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად კერძოს სამართლის კანონმდებლობის გავრცელების მხრივ თანაბარი მდგომარეობაა და რაიმე წინააღმდეგობას არ ქმნის.

რაც შეეხება ა(ა)იპ-ის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, აქაც საჯარო სამართლის იურიდიული პირების მსგავსად გვაქვს შეზღუდვა,

⁴ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.

სასამართლოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.

სსიპ-ებისა და ა(ა)იპების შემთხვევაშიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანი იქნება იმ ბალანსის დაცვა, რომლითაც მათი საქმიანობა არ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობაზე არსებითად გადასვლად თუ საერთოდ აღნიშნული შეზღუდვა არ მოიხსნა საგამონაკლისო წესით კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მიდგომებიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

საგადასახადო კოდექსი

საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ორგანიზაციად ითვლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სხვა დაწესებულები, რომელიც აღნიშნული მუხლით არის განსაზღვრული.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც

უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამოიწვევა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი. აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯებს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში წარმოემშვენათ საგადასახადო ვალდებულებები.

ამასთან 97-ე მუხლის მიხედვით ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- *გაწევს ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;*
- *უსასყიდლოდ მიაწოდებს საქონელს, გაუწევს მომსახურებას ან/და გადასცემს ფულად სახსრებს, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან.*

შესაბამისად კოლეჯებს შეეძლებათ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მოგება სრულად წარმართონ საკუთარი მიზნების მისაღწევად და ფუნქციის შესასრულებლად, რაც მნიშვნელოვნად თანხვედრაშია კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებულ რეფორმასთან.


სხვა გადასახადებთან დაკავშირებით განსხვავებული საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოემშვენათ და ჩვეულებრივ რეჟიმში დაექვემდებარებიან დაბეგრას.

ამ ნაწილში მეტად მნიშვნელოვანია ის საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც არსებობს შემოსავლების აკუმულირებასთან/ხარჯვასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს ბალანსს ფუნქციონირებაზე და შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based) შემოსავლების

ეფექტურ გადანაწილებას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებული კოლეჯების მიზნების მიღწევასთან.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში თუ კოლეჯები გამოიყენებენ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას და პროდუქციის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას მოახდენენ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებითა და მათზე ქონების გადაცემით (იხ. გრაფიკული გამოსახულება №5).



გრაფიკული გამოსახულება №4: პროდუქციის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას მოახდენს კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებითა და მათზე ქონების გადაცემით „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული კოლეჯებს შესაძლებლობა აქვთ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე დააფუძნოს კერძო სამართლის იურიდიული პირები და 34-ე მუხლის შესაბამისად გადასცეს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება. ასეთ შემთხვევაში კოლეჯს მოუწევს განახორციელოს ყველას ის ფუნქცია, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით პარტნიორის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს განეკუთვნება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ საკანონმდებლო დონეზე რაიმე შეზღუდვა ან კოლიზია სხვა კანონმდებლობებთან არ გვაქვს, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბება, რათა მიღწეულ იქნას კოლეჯის მიზნები და თავიდან იქნას აცილებული ის რისკები რაც საბაზრო პირობებში მეწარმე სუბიექტთან არის დაკავშირებული.

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ისეთი საკითხების ეფექტური დარეგულირება და მართვა როგორიცაა:

- *პარტნიორთა კრებების მოწვევა და მათთან ურთიერთობა;*
- *ბიზნესის გეგმების შეთანხმება და საგანმანათლებლო მიზნებში მათი უზრუნველყოფა;*
- *კვარტალური და წლიური ანგარიშგება და შედეგების განხილვა;*
- *ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;*
- *მომგებიანობის ფინანსური ანალიზი;*
- *მოგების რეინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.*

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებენ, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, მათზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა, კერძოდ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ზ.“ ქვეპუნქტის თანახმად სახელმწიფო შესყიდვას წარმოადგენს ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად.

რაც შეეხება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს, მათზე მსგავსი რეგულირება არ გვხდება და მხოლოდ იმ შემთხვევაში ექცევიან კანონის მოქმედების ქვეშ თუ ფინანსდებიან ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ასევე შესყიდვების კანონმდებლობა არ ვრცელდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით ჩამოყალიბებულ კერძო სუბიექტებზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები.

ამასთან, რეგულაციასთან მიმართებაში გარკვეულწილად არათანხვედრაშია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯის მიერ სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევაში კოლეჯი უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს/აქციებს. შესაბამისად თუ კოლეჯის მფლობელობაში იქნება 50%-ნი წილი/აქცია

მათზე არ გავრცელდება შესყიდვების კანონმდებლობა და მხოლოდ 50%-ზე მეტის შემთხვევაში დაექვემდებარება აღნიშნულ რეგულაციებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ კერძო სამართლის სუბიექტები განსხვავებულ და არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, რის გამოც მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის ფარგლებში დაზუსტდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელების თანაზომიერება კერძო სამართლის სუბიექტებზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ნებისმიერ შემთხვევაში თუ კოლეჯის მიერ ეკონომიკური საქმიანობა ა(ა)იპების ან ისეთი კერძო სამართლის სუბიექტების მეშვეობით განხორციელდება, რომელშიც სახელმწიფოს/კოლეჯის წილი 50%-ზე ნაკლები იქნება, მნიშვნელოვანია დაიცვან შესყიდვების კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები, ეკონომიურობის, თაღლითობის რისკების პრევენციისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ამასთან შესაძლებელია განხილულ იქნას გარკვეული გამოწვევების შემოღება იმ მცირეფასიან, საბრუნავ და სახარჯ საშუალებებზე, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში პროდუქციის წარმოებასთან/მომსახურების გაწევასთან, იმ პირობით, რომ წარმოშობილი რისკების საპასუხოდ შემოღებულ იქნება სათანადო კონტროლის მექანიზმები. ასევე, გამოწვევის შემოღება დაშვებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ერთ კოლეჯის მიერ წარმოებული პროდუქციის შესყიდვა მოხდება მეორე კოლეჯის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად.

დამატებითი რეგულაციები

კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი რეგულაციები კანონქვემდებარე აქტების სახით ჯერ-ჯერობით არ გვხვდება,

თუმცა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესსა და პირობებს.⁵

ვინაიდან კანონმდებლობა არ გვთავაზობს სხვა დამატებით რეგულაციებს, მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის ფარგლებში ყურადღება მიექცეს ცალკეული საკითხების დარეგულირებას, როგორიცაა:

კოლეჯების მიერ:

- კომერციულ და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სტრატეგიული და სამოქმედო (საოპერაციო) გეგმების მომზადება და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- მომგებიანობის ფინანსური ანალიზი, დასაბუთება და გადაწყვეტილების მიღება;
- ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირება და მართვა სასწავლო პროგრამებში და პროცესებში სტრატეგიის შესაბამისად;
- ეკონომიკურ საქმიანობაში ადამიანური რესურსების გამოყენება და მათი მართვა;
- პროდუქციის/მომსახურების ხარისხის კონტროლი;
- კომერციული საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების აკუმულირების მექანიზმები;
- ბიუჯეტის შემუშავებაში ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათვალისწინება და ჩამოყალიბება შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based),

⁵ 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

რომელიც დაკავშირებული იქნება სტრატეგიულ და საოპერაციო მიზნებთან;

- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების მართვა კოლეჯის ფუნქციონირებასთან და მიზნებთან მიმართებაში;
- პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება კოლეჯის მიერ დაფუძნებულ საწარმოებთან მიმართებით (პარტნიორთა კრებების მოწვევა, ბიზნესის გეგმების შეთანხმება, კვარტალური და წლიური შედეგების განხილვა, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, მომგებიანობის ფინანსური ანალიზი და მოგების რეინვესტირებაზე/განაწილებაზე);
- ინფრასტრუქტურის გამოყენების, ადამიანური რესურსების მართვის, მარაგების შესყიდვისა და კონტრაქტორებთან ურთიერთობის ფორმები და პროცესები.

სახელმწიფოს მიერ:

- კოლეჯების ძირითად საქმიანობასთან მიმართებაში ეკონომიკური საქმიანობის ბალანსისა და არსებობის განსაზღვრის კრიტერიუმები;
- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და მიღებული შემოსავლის ათვისების შესაძლებლობები/მიდგომები;
- ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონების კოლეჯის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირისთვის უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემის წესი;
- მაკონტროლებელ დაწესებულებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშგების მექანიზმები, ფორმები და პერიოდები.

განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში კონცეფციის ფარგლებში შესაძლოა საჭირო გახდეს შემდეგი საკითხების განსაზღვრა/დაზუსტება, მაგალითად:

- კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის პრინციპები, რომელიც საბაზრო პირობებში უნდა ეფუძნებოდეს ჯანსაღ და ღია კონკურენციას კერძო სექტორთან მიმართებაში;
- ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირების შესაძლებლობის განსაზღვრა - სასწავლო პროცესში ან/და ცალკე კომერციული ხაზის ჩამოყალიბება;
- სასწავლო პროცესში ინტეგრირების შემთხვევაში სასწავლო პროგრამებისა და კურსების მორგების ვალდებულება ბაზარზე და საწარმოო პროდუქციაზე/მომსახურებაზე;
- აკრძალვები, მაგალითად, ისეთ ეკონომიკური საქმიანობებისა რომელიც არ გამომდინარეობს სასწავლო პროგრამებიდან ან/და დებულებიდან;
- სასწავლო და ეკონომიკური საქმიანობის ბალანსის პრინციპები და არსებობის ზღვარის კრიტერიუმები ან გამონაკლისების დაშვება;
- ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის აკუმულირებისა და განკარგვის საკითხები (მაგალითად, შემოსავლის აკუმულირება უნდა მოხდეს სახაზინო თუ საბანკო ანგარიშებზე; როგორ უნდა გადანაწილდეს ხარჯები, რა პროპორციითა და მიზნობრიობით - ფუნქციონირების ან/და შესრულების/ეფექტიანობის საფუძველზე (Performance Based));

- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საკითხები (დირექტორი/სამეთვალყურეო საბჭო/კომისია);
- სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშგების მექანიზმები.

ზემოთ მოცემული საკითხებით განისაზღვრება ის ძირითადი პრინციპები, რომელიც მეტად ხაზს გაუსვამს კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკას.

ასევე მართალია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“⁶ და „პროფესიული განათლების შესახებ“⁷ საქართველოს კანონებში მოცემული რეგულაციები თანხვედრაშია ერთმანეთთან, მაგრამ რაიმე დამატებითი რეგულაცია თუ რა ფორმით და კრიტერიუმებით უნდა მოახდინოს კოლეჯის საქმიანობისა და სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლის არსებობის შეფასება, არ არის განსაზღვრული. აღნიშნული ეხება ა(ა)იპ-ებსაც, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით იგივე მოთხოვნებს უყენებს სამოქალაქო კოდექსი.

ბუნებრივია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯები მოექცევიან სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ინტეგრირება მოახდინონ ისეთი ეკონომიკური აქტივობების, რომლებიც უფრო მეტად და ეფექტურად უზრუნველყოფენ ეკონომიკურ მდგრადობას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას თავიანთი მიზნების მიღწევისა და ფუნქციების შესასრულებლად. ჩაითვლება თუ არა ასეთი აქტივობები არსებით სამეწარმეო საქმიანობაზე

⁶ მუხლი 11.

⁷ მუხლი 33.

გადასვლად, მნიშვნელოვანი იქნება, რომ დაზუსტდეს კრიტერიუმების მხრივ.

მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2¹ პუნქტის დაზუსტება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში, რომელიც ადგენს, რომ „სასწავლო პროცესში შექმნილი საქონლის/გაწეული მომსახურების რეალიზაციიდან და დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობიდან მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხმარდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების მიღწევას და მისი ფუნქციების შესრულებას“, თუმცა აღნიშნული კანონი არ აკონკრეტებს თუ როგორ და ვისი მეშვეობით უნდა მოხდეს დაწესებულების მიზნების მიღწევა და ფუნქციების შესრულება, ეს შესაძლებელია იყოს სხვა დაწესებულების მეშვეობით, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის დაშვება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მკაფიოდ არ განსაზღვრულა და შესაძლებელია მიმდინარე პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად საჭირო გახდეს მისი დაზუსტება.

ასევე „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯის მიერ სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევაში კოლეჯი უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს/აქციებს. აღნიშნული ჩანაწერი ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში საჭიროებს ჩასწორებას, ვინაიდან წილები/აქციები არ გვხვდება მათ საქმიანობაში.

დაზუსტებას საჭიროებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯის მიერ სამეწარმეო იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების

შემთხვევაში კოლეჯი უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს/აქციებს. შესაბამისად თუ კოლეჯის მფლობელობაში იქნება 50%-ნი წილი/აქცია მათზე არ გავრცელდება შესყიდვების კანონმდებლობა და მხოლოდ 50%-ზე მეტის შემთხვევაში დაექვემდებარება აღნიშნულ რეგულაციებს.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში

ამ ნაწილში პირველ რიგში საჭიროა, რომ დაზუსტდეს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კოლეჯების მიერ წარმოებულ პროდუქციას ან შეძენილ ქონებას სახელმწიფო ქონების სტატუსი აქვთ თუ არა და უნდა გავრცელდეს თუ არა მათზე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა.

ქონების განკარგვასთან დაკავშირებულმა განსხვავებულმა მიდგომამ (საკუთარი შემოსავლით შეძენილის და სახელმწიფოს მიერ გადაცემულის) შესაძლოა პრაქტიკაში პრობლემები წარმოქმნას და არაეფექტური იყოს კოლეჯის მიერ დასახულ მიზნებთან მიმართებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ორი კანონმდებლობის მიდგომების გადახედვა და ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის მიზნებთან მიმართებაში.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში

არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოქცეული კერძო სამართლის სუბიექტები განსხვავებულ და არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების მხრივ (დეტალურად

განხილულია მარეგულირებელი გარემოს ანალიზის თავში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ნაწილში), რის გამოც მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის ფარგლებში დაზუსტდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების თანაზომიერება კერძო სამართლის სუბიექტებზე.

ამასთან კონცეფციის ფარგლებში შესაძლებელია განხილულ იქნას კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობისთვის საჭირო შესყიდვების განხორციელებაზე გარკვეული გამონაკლისების შემოღება, მაგალითად იმ მცირეფასიან, საბრუნავ და სახარჯ საშუალებებზე, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში პროდუქციის წარმოებასთან/მომსახურების გაწევასთან, იმ პირობით, რომ წარმოშობილი რისკების საპასუხოდ შემოღებულ იქნება სათანადო კონტროლის მექანიზმები. ასევე, გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ერთ კოლეჯის მიერ წარმოებული პროდუქციის შესყიდვა მოხდება მეორე კოლეჯის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად.

მიუხედავად ასეთი დაშვების შესაძლებლობის განხილვისა, აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო შესყიდვებისა და საუკეთესო პრაქტიკების ძირითად პრინციპებს.

რისკების, ხელისშემშლელი ფაქტორებისა და მათი მიტიგაციის სტრატეგიების წინასწარი განსაზღვრა

რისკები და ხელისშემშლელი ფაქტორები:

კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და ხელისშემშლელი ფაქტორები წარმოდგენილი ცალკეული პროცესების მიხედვით:

კონცეფციის შემუშავება:

- შემუშავებული კონცეფცია მოკლებული იქნება საუკეთესო პრაქტიკების გამოცდილების გაზიარებას, მათი ხელმიუწვდომლობის მიზეზით;
- კონცეფცია არ დაფარავს ყველა შესაძლო სცენარს და ვერ გაითვალისწინებს კოლეჯების პოტენციალს სრულად, ინფორმაციის ნაკლებობის გამო;
- კონცეფციის შემუშავება და განხორციელება ვერ მოხდება განსაზღვრულ ვადებში, მისი კომპლექსურობიდან და ჩართული მხარეების სიმრავლიდან გამომდინარე, ასევე კოორდინაციისა და ცნობიერების პრობლემების გამო.

რეგულაციების მომზადება:

- მომზადებული რეგულაციები არ იქნება თანხვედრაში კონცეფციის მიზნებთან ან ვერ მოხდება რეგულაციების სათანადო მომზადება/ცვლილებების შეტანა არასაკმარისი/არაკონკრეტული ინფორმაციის გამო;

- მომზადებული რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის მოქნილობას და მკაფიოდ განსაზღვრას/საკმარისობას, პრაქტიკების, გამოცდილებისა და შესაბამისი მხარეების ნაკლებად ჩართულობის მიზეზით;
- რეგულაციების მომზადება ან/და ცვლილებების შეტანა ვერ მოხდება დროულად, საკითხის კომპლექსურობიდან და ჩართული მხარეების სიმრავლიდან გამომდინარე;
- მომზადებული რეგულაციები იქნება რთულად გასაგები და გამოიწვევს სხვადასხვა ინტერპრეტაციას, არათანმიმდევრული, არასაკმარისი და არამკაფიო დებულებების გამო.

კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება:

- კოლეჯები ვერ განხორციელებენ დაშვების მიუხედავად ეკონომიკურ საქმიანობას ან გაუჭირდებათ ეკონომიკური საქმიანობის დაბალანსება სასწავლო პროცესებთან მიმართებაში, სათანადო რესურსების, ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი ძირითადი საქმიანობის ხელის შეშლა;
- კოლეჯები მოახდენენ რეგულაციების სხვადასხვა ინტერპრეტაციას და შეცდომების დაშვებას პრაქტიკაში, არამკაფიო, არასაკმარისი რეგულაციების, ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე;
- კოლეჯებს არ ექნებათ სურვილი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, სათანადო გამოცდილების/ცოდნის, მოტივაციის ნაკლებობისა და რთულად შესასრულებელი რეგულაციების გამო;
- კოლეჯები ვერ უზრუნველყოფენ ჯანსაღ კონკურენციას, მომგებიანობასა და პროცესების სათანადოდ მართვას, არასაკმარისი რეგულაციების, ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე;
- კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობა და მიღებული შემოსავლების ათვისება არ იქნება დაკავშირებული მათ საქმიანობის ფარგლებში

წინასწარ განსაზღვრულ მიზნებთან არასაკმარისი/არასათანადო დამოკიდებულების, ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე;

- კოლეჯების მიერ ეკონომიკური საქმიანობის სასწავლო პროცესებში ინტეგრირების შემთხვევაში უფრო მეტად მოხდება სტუდენტის ვიწრო სპეციალობით განვითარება, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე და ვერ უზრუნველყოფენ ფართო უნარების, იმპროვიზაციისა და საკუთარი შემოქმედებით მიდგომის რეალიზებას;
- კოლეჯების ანგარიშგება ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში არ იქნება ადეკვატური, საკმარისი და სრული, არასაკმარისი/არასათანადო დამოკიდებულების, ცოდნისა და გამოცდილებიდან გამომდინარე.

მიტიგაცია:

ზემოთ მოცემული რისკების უარყოფითი გავლენის შესამცირებლად მნიშვნელოვანი იქნება:

- კონცეფციისა და რეგულაციების მომზადების პროცესში წინასწარი ჩართულობისა და შეთანხმების უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებულ მხარესთან და მათი შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინება;
- საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილების გაცნობა/გაზიარება დონორების დახმარებით;
- სათანადო ტრენინგების დაგეგმვა და უზრუნველყოფა.
- ცალკეული მიმართულებების მიხედვით პროექტ(ებ)ის პილოტირება;
- მჭიდრო კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება ყველა ჩართულ/დაინტერესებულ მხარეს შორის პროექტების მიმდინარეობის, შედეგებისა და სიახლეების/ცვლილებების შესახებ;

- პილოტირების შედეგებიდან გამომდინარე პოლიტიკის და რეგულაციების გადახედვა და საჭირო ცვლილებების განხორციელება;
- კოლეჯებისათვის გარკვეული გზამკვლევების მომზადება;
- სახელმწიფო მაკონტროლებლის მიერ კოლეჯების ეკონომიკურ საქმიანობაზე სათანადო და დროული ზედამხედველობის განხორციელება;
- კოლეჯების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების სახელმწიფო მაკონტროლებლის მიერ განხილვა, უკუკავშირისა და სათანადო რეაგირებების განხორციელება.

დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა

არსებული და პოტენციური დაინტერესებული კომერციული მხარეების განსაზღვრა

ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან:

- სხვადასხვა სფეროს ბიზნეს სექტორი - უშუალოდ კოლეჯების მიერ წარმოებული პროდუქციის ან/და მომსახურების მომხმარებელი, ასევე შრომის ბაზარზე მეტად კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პირების მოზიდვა და დასაქმება;
- ფიზიკური პირები - უშუალოდ კოლეჯების მიერ წარმოებული ხარისხიანი პროდუქციის ან/და მომსახურების მომხმარებელი ხელმისაწვდომ ფასებში;
- ტრენინგ პარტნიორები - ბიზნეს სექტორში არსებული მოთხოვნების შესაბამისად შრომის ბაზარზე მეტად მორგებული (არსებული ან სამომავლო), განათლებიდან შრომის ბაზარზე ტრანზაციის ხელშეწყობა, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პირების მომზადება, (სამუშაო გარემოში პრაქტიკით ან სტაჟირებით, აგრეთვე სასწავლო საწარმოში სწავლით), მოზიდვა და დასაქმება;
- სახელმწიფო (საჯარო სექტორი) - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის განვითარება, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარება და დასაქმების მეტი პოტენციალის შექმნა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, საჯარო რესურსების გამოთავისუფლება და ნაკლები საბიუჯეტო დანახარჯების გაწევა, პროფესიული განათლების პროგრამების ორიენტირება შრომის ბაზარზე;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/კოლეჯები - თეორიისა და პრაქტიკის უკეთესი ინტეგრირება სწავლების ფარგლებში, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მოთხოვნის გაზრდა, დამატებითი შემოსავლის უზრუნველყოფა და თვითდაფინანსება, მუდმივი განვითარების შესაძლებლობების გაჩენა;
- სტუდენტები - კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან პირებად ჩამოყალიბება, ბაზარზე მეტად მორგებული უნარ-ჩვევებით, მეწარმის უნარ-ჩვევების განვითარება, მოთხოვნის გაზრდა ბიზნეს სექტორიდან და დასაქმების/თვითდასაქმების მეტი პოტენციალი;

- მასწავლებლები - ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განვითარება, გამოცდილების გაზრდა და კარიერული წინსვლა.

დაინტერესებული საჯარო მხარეების განსაზღვრა:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საჯარო სექტორში ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან:

ცენტრალურ დონეზე:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯები.

ადგილობრივ დონეზე:

- თბილისის მერია;
- მუნიციპალიტეტები (მერია, საკრებულო).

განათლების სისტემაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა

ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განათლების სისტემაში მონაწილე ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/კოლეჯები.

ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მონახაზი

კომერციალიზაციის მიზნებისთვის საქონლის/მომსახურების შერჩევის

მეთოდოლოგია

აღნიშნული მეთოდოლოგიის მიზანი არის „კოლეჯის“ მიერ თანმიმდევრულად და ოპტიმალურად შეირჩეს და განხორციელდეს იმ საქონლის ან/და მომსახურების კომერციული წარმოება რომლის ეკონომიკური და საგანმანათლებლო სარგებელიც არის უპირატესი და განხორციელების კუთხით მოიცავს ყველაზე ნაკლებ რისკებს.

- ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისთვის კოლეჯის მიერ მზადდება საქონლის ან/და მომსახურების ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი რომელიც წარედგინება მაკონტროლებელს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო);
- ეკონომიკური საქმიანობის განაცხადის შემუშავების დეტალური წესის განსაზღვრა მოხდება პროფესიული კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მომავალ რედაქციებში;
- ეკონომიკური საქმიანობის განაცხადის განხილვას ახორციელებს მაკონტროლებელი ან/და მაკონტროლებლის მიერ შერჩეული მრჩეველთა საბჭო;
- დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კოლეჯს ეგზავნება წერილობითი დასტური რის საფუძველზეც ის შეძლებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას.

საწარმოო კომპონენტების შესყიდვის მეთოდოლოგია

- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში კოლეჯი უფლებამოსილია შეიძინოს მხოლოდ ის საქონელი ან/და მომსახურება რომელიც გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის განაცხადის მიხედვით და შეთანხმებულია მაკონტროლებლის მიერ;
- ეკონომიკური საქმიანობისთვის შეძენილი მატერიალური მარაგების გამოყენება სასწავლო ან და სხვა საქმიანობისთვის არ არის ნებადართული; კოლეჯი ვალდებულია განცალკევებულად მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობისთვის შესყიდული ნედლეულისა და მასალების შენახვა / დასაწყობება და აღრიცხვა;
- კოლეჯის მიერ სატენდერო შესყიდვის წესის გარეშე შესყიდვის უფლება გავრცელდება მხოლოდ იმ პირდაპირ დანახარჯებზე (მასალის/მომსახურება/შრომა) რომლებიც გათვალისწინებულია შეთანხმებული ეკონომიკური საქმიანობის განაცხადით;
- მიუხედავად იმისა დგება თუ არა ტენდერით შესყიდვის ვალდებულება, კოლეჯი ვალდებულია თითოეულ შესყიდვაზე განხორციელოს ბაზრის კვლევა / ფასთა გამოკითხვა და წარმოადგინოს შესასყიდ საქონელზე ან/და მომსახურებაზე 3 (სამი) კომერციული წინადადება;
- ტენდერის გარეშე შესყიდვის უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ აქტივებზე რომელთა:
 - ერთეულის ფასიც არ აღემატება 500 ლარს;
 - სარგებლობის ვადა არ აღემატება 1 წელს;
 - ერთჯერადად ჯამური შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს.
- ტენდერის ჩატარების აუცილებლობის განმსაზღვრელი დამატებითი კრიტერიუმები არის:
 - შესასყიდი ფასის სხვაობა - შესაძენ საქონელზე ან/და მომსახურებაზე ფასთა შორის სხვაობა ფაქტიური შესყიდვის

ფასსა და ეკონომიკური აქტივობის განაცხადში დაფიქსირებულ ციფრს შორის;

- თვითღირებულების სხვაობა - სხვაობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოშვებული საქონლის ან/და მომსახურების ფაქტიურ თვითღირებულებასა და ეკონომიკური აქტივობის განაცხადში დაფიქსირებულ თვითღირებულებას შორის;
 - გროს მარჟის სხვაობა - სხვაობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოშვებული საქონლის ან/და მომსახურების გროსს მარჟასა და ეკონომიკური აქტივობის განაცხადში დაფიქსირებულ გროსს მარჟას შორის.
- კონტროლის მექანიზმები
- ეკონომიკური საქმიანობის პირველი შესყიდვის დროს, თუკი ეკონომიკური საქმიანობის დამტკიცებიდან არ არის გასული 3 (სამი) თვეზე მეტი, ტენდერის გარეშე შესაძენი საქონლის ან/და მომსახურების ერთეული შესასყიდი ფასი (დღგ-ს გარეშე) 10%-ზე მეტით არ აღემატება ეკონომიკური აქტივობის განაცხადში დაფიქსირებულ ერთეულის ფასს, კოლეჯს აქვს უფლება შესყიდვა განახორციელოს ტენდერის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი არის შესყიდვის ტენდერის წესით ჩატარება. 3 (სამი) თვეზე მეტი ვადის გასვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია განაახლოს ეკონომიკურ განაცხადში წარმოდგენილი მონაცემები;
 - ყოველი მომდევნო შესყიდვის შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუკი მმართველობითი ანგარიშების მიხედვით გამოვლინდა შესასყიდ ფასთა შორის სხვაობა, მაგრამ თვითღირებულების სხვაობა და გროს მარჟის სხვაობა არ დაფიქსირებულა, კოლეჯი უფლებამოსილია განაგრძოს შესყიდვა ტენდერის გარეშე მაგრამ ამავედროულად ვალდებულია წარმოადგინოს ფასთა შორის სხვაობის ანალიზი;

- ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, მაკონტროლებლის უფლების გარეშე, კოლეჯს არ აქვს უფლება მომდევნო შესყიდვა განხორციელოს სატენდერო შესყიდვის წესის მიხედვის გარეშე;
- ზემოთ აღწერილი წესის დარღვევა ჩაითვლება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დარღვევად და შემსრულებელს დაეკისრება შესაბამისი სანქციები.

კომერციულ და სასწავლო აქტივობებს შორის რესურსების გადანაწილების მეთოდოლოგია

პროფესიული კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ეკონომიკურ და სასწავლო აქტივობებს შორის რესურსების გადანაწილების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიზანი არის დაადგინოს ის ზღვარი, სადაც კოლეჯის ეკონომიკური საქმიანობა თვისობრივად წარმოადგენს სასწავლო პროცესის შემავსებელ და გამამდიერებელ ნაწილს და უზრუნველყოს ამ ზღვარის შენარჩუნება მაკონტროლებელი მექანიზმებით მთლიანად როგორც კოლეჯის ისე თითოეული სასწავლო კურსის / პროგრამის დონეზე.

- ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყოფადი და გამოყენებული რესურსების დათვლის მიზნით ეკონომიკური განაცხადში ხდება ეკონომიკური საქმიანობის მიკუთვნება კოლეჯის ფარგლებში განხორციელებულ სასწავლო კურსთან / პროგრამასთან, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეკონომიკური საქმიანობა ითვალისწინებს ზოგადი პროფილის/ფუნქციონალური დატვირთვის აქტივების იჯარას;

- სასწავლო დაწესებულების ფარგლებში სასწავლო და საწარმოო პროცესებს შორის დატვირთულობის დაანგარიშება მოხდება ძირითადი ინდიკატორის მიხედვით;
- ეკონომიკური საქმიანობის განაცხადში თითოეული ეკონომიკური საქმიანობისთვის ინდივიდუალურად განისაზღვრება ძირითადი ინდიკატორი და ძალაშია მის ცვლილებამდე;
- რესურსების გადანაწილების დაანგარიშებისას, კვირის ჭრილში მოხდება სასწავლო კურსის / პროგრამის ფარგლებში მოხმარებული ძირითადი ინდიკატორის ჯამის განსაზღვრა და მისი შედარება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოხმარებულ ძირითადი ინდიკატორის ჯამთან;
- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში კვირის მანძილზე მოხმარებული ძირითადი ინდიკატორის ჯამი არ შეიძლება აღემატებოდეს სასწავლო კურსის / პროგრამის ფარგლებში მოხმარებული ძირითადი ინდიკატორის 30%-ზე მეტს;
- იმ შემთხვევაში თუკი ეკონომიკური საქმიანობით შესაძლებელია სასწავლო პროცესის თანმხლები პრაქტიკული საქმიანობის ჩანაცვლება, ეკონომიკური საქმიანობის მოცულობის ზრდა შესაძლებელია მოხდეს იმ მოცულობით რა მოცულობითაც მოხდება პრაქტიკული სწავლების ჩანაცვლება, მაგრამ არაუმეტეს პრაქტიკული სწავლების მოცულობის 50%-ისა;
- ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ყველა კოლეჯი ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშების ფარგლებში აწარმოოს ეკონომიკური საქმიანობების რეესტრი რომელშიც განსაზღვრული იქნება ძირითადი ინდიკატორების მოხმარების მაჩვენებლები;
- სასწავლო კურსის / პროგრამის მიხედვით რესურსების დატვირთვისა და პრაქტიკული საქმიანობის ჩანაცვლების კოეფიციენტები განისაზღვრება ყოველკვარტლურად / ყოველწლიურად კოლეჯის ადმინისტრაციის / მაკონტროლებლის / მრჩეველთა საბჭოს მიერ.

ფასწარმოქმნის, ხარჯების ალოცირებისა და სახელფასო ანაზღაურების მეთოდოლოგია

მაკონტროლებელთან წარმოდგენილი ეკონომიკური აქტივობის განაცხადის შესაბამისად კოლეჯი ვალდებულია აწარმოოს მმართველობითი ანგარიში. მმართველობითი ანგარიშის შემუშავების დეტალური წესის განსაზღვრა მოხდება პროფესიული კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მომავალ რედაქციებში.

1. სარეალიზაციო ფასის დადგენა

შემდეგ მუხლები არეგულირებს კოლეჯის მიერ სარეალიზაციო ფასის დამოუკიდებლად (აუქციონის წესისა და ფასის დადგენის წესის გარეშე) განსაზღვრის კრიტერიუმებს:

1. პროდუქტის ან/და მომსახურების სარეალიზაციო ფასი არ უნდა იყოს ეკონომიკური აქტივობის განაცხადში მითითებულ ფასზე ნაკლები.
2. პროდუქტის ან/და მომსახურების სარეალიზაციო ფასი მინიმუმ 10%-ით უნდა აღემატებოდეს მმართველობითი ანგარიშის მიხედვით დაანგარიშებულ თვითღირებულებას.
3. კოლეჯი ვალდებულია განახორციელოს გასაყიდი საქონლის ან/და მომსახურების სარეალიზაციო ფასის ბაზრის კვლევა და წარმოადგინოს 3 თვისობრივად და ტერიტორიულად შესაფერისი კომერციული შეთავაზება. ბაზრის კვლევის პრინციპების განსაზღვრა მოხდება პროფესიული კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის მომავალ რედაქციებში.
4. იმ შემთხვევაში თუკი არ სრულდება ამ პარაგრაფის 1-3 მუხლებში დადგენილი პირობა კოლეჯი ვალდებულია სარეალიზაციო ფასი განსაზღვროს ფასის დადგენის ან და აუქციონის წესის მიხედვით.

2. რესურსების გამოყენებისა და ხარჯების გადანაწილების პრინციპი

- ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის კოლეჯის გასწევს პირდაპირი (მასალები, მომსახურებები, შრომა) და არაპირდაპირი ხარჯებს (საერთო საწარმოო დანახარჯები, საერთო კომუნალური დანახარჯები, ზოგად ადმინისტრაციული დანახარჯები და ა.შ.);
- ეკონომიკური საქმიანობის არაპირდაპირ ხარჯების ალოცირების მექანიზმი განისაზღვრება ეკონომიკური აქტივობების განაცხადში და ძალაშია მის შემდგომ ცვლილებამდე;
- კოლეჯის საკუთრებაში არსებული უძრავი / მოძრავი ქონება:
 - ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებული იყოს კოლეჯის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონება რომლის **სარეზერვო დანახარჯის** განსაზღვრისთვის 1 (ერთი) წარმოებულ საქონელზე ან/და მომსახურებაზე კოლეჯი იხელმძღვანელებს მაკონტროლებლის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით;
 - მოძრავი და უძრავი ქონების გამოყენების საფასურის დადგინდეს 1 (ერთი) წარმოებულ პროდუქტზე ან/და მომსახურებაზე დათვლილი აღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონების ცვეთის ხარჯს დამატებული + 10 (ათი) პროცენტის ოდენობით;
 - ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული მოძრავი და უძრავი ქონების მოხმარების ზუსტი საფასური განისაზღვრება ეკონომიკური აქტივობის განაცხადში.
- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შრომითი რესურსები
 - ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებული იყოს კოლეჯის ინსტრუქტორების ან/და მოსწავლეების შრომით რესურსი რომლის **სარეზერვო დანახარჯის** განსაზღვრისთვის 1 (ერთი) წარმოებულ

საქონელზე ან/და მომსახურებაზე კოლეჯი იხელმძღვანელებს მაკონტროლებლის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით.

- *ადამიანური შრომა (ინსტრუქტორი ან/და მოსწავლე), რომელსაც სასწავლო დაწესებულება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიიღებს უსასყიდლოდ, მმართველობითი აღრიცხვის მიზნებისთვის დაანგარიშებული იქნება ეკონომიკური საქმიანობის სექტორში არსებული მინიმალური სახელფასო განაკვეთის (საათობრივი/თვიური) ოდენობით.*
- *ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული შრომითი რესურსებისა და მოძრავი და უძრავი ქონების მოხმარების ზუსტი საფასური განისაზღვრება ეკონომიკური აქტივობის განაცხადში.*

3. ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა

მნიშვნელოვანია კოლეჯის ეკონომიკური და საგანმანათლებლო საქმიანობის სააღრიცხვო ნაწილის მკაცრი გამიჯვნა.

- *ეკონომიკური საქმიანობის ყველა აქტივისა და ვალდებულების აღრიცხვა უნდა მოხდეს ცალკეულ ანგარიშებზე (მათ შორის საღაროს მოძრაობა, საბანკო ბრუნვა, ნედლეული და მასალები, სავაჭრო ვალდებულებები, სახელფასო ვალდებულებები და ა.შ.);*
- *ეკონომიკური საქმიანობისთვის შეძენილი მატერიალური მარაგების გამოყენება სასწავლო ან და სხვა საქმიანობისთვის არ ნებადართული; განცალკევებულად უნდა მოხდეს ეკონომიკური საქმიანობისთვის შესყიდული ნედლეულისა და მასალების შენახვა / დასაწყობება და აღრიცხვა; ეკონომიკური დანიშნულებისა და სასწავლო დანიშნულების საწყობებს შორის გადაცემა უნდა მოხდეს აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით;*

- ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა უნდა მოხდეს ყოველთვიურად დადგენილი მმართველობითი ანგარიშგების ფორმების მიხედვით რომლის შედეგადაც ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოვლენილი იქნება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, მომგებიანობა და ა.შ.;
- თითოეული კოლეჯის ბაზაზე უნდა შეიქმნას და ყოველთვიურად იწარმოოს ეკონომიკური საქმიანობების რეესტრი რომლის საფუძველზეც მოხდება თითოეული ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი პარამეტრების/ინდიკატორების ანგარიშგება მაკონტროლებელთან;
- მმართველობითი ანგარიშგების ფორმის მიხედვით ყოველ საბიუჯეტო პერიოდზე მოხდება ეკონომიკური აქტივობების ბიუჯეტირება და შესრულების კონტროლი, რომლის პარამეტრებიც თავის მხრივ აისახება სასწავლო დაწესებულებების მიერ წარმოებულ არსებულ საბიუჯეტო აღრიცხვის ფორმებში.

საქონლის/მომსახურების მიწოდების მეთოდოლოგია

მოცემულობა 1: კოლეჯის მიერ დაფუძნებული შვილობილი კომპანიის მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმოება გამოიწვევს 25 ახალი იურიდიული სუბიექტის შექმნას რაც თავის მხრივ გამოიწვევს ადმინისტრაციულ რესურსებზე გაზრდილ მოთხოვნას, გაზრდის საოპერაციო რისკებს და გაზრდის გამჭვირვალების შემცირების ალბათობას.

მოცემულობა 2: საწყის ეტაპზე კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბი იქნება მცირე და შესაძლოა მოიცვას მხოლოდ ერთეული პროდუქტები, შესაბამისად აღნიშნული საქმიანობისთვის იურიდიული პირის შექმნა შესაძლოა არ იყოს ოპტიმალური.

მოცემულობა 3: კოლეჯებს შესაძლოა არ გააჩნდეთ აუცილებელი რესურსები და შესაძლებლობები იმისთვის რომ დამოუკიდებლად აწარმოონ ეკონომიკური საქმიანობა და საჭირო გახდეს თანამშრომლობის მოდელში კერძო კომპანიის ჩართულობა.

მოცემულობა 4: კერძო და საჯარო პარტნიორობის (PPP) ფორმატში აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობების განხორციელება არ არის შესაძლებელი სტრუქტურული მზაობის არ არსებობის გამო.

მოცემულობა 5: თანამშრომლობის მოდელში კერძო კომპანიის ჩართვა პარტნიორობის უფლების კერძო კომპანიაზე აუქციონის წესით გაყიდვით ვერ უზრუნველყოფს საწარმოო პროცესისთვის აუცილებელ მოქნილობას და ასევე შესაძლებელია საწყის ეტაპზე ვერ შედგეს კერძო სექტორში ინტერესთა ნაკლებობის გამო.

- კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პირველ ეტაპზე, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მოხდება უშუალოდ კოლეჯის მიერ;
- კოლეჯს ექნება უფლება განახორციელოს მხოლოდ ის ეკონომიკური საქმიანობა რომელიც ავტორიზებულია მაკონტროლებლის მიერ;
- კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მეორე ეტაპზე, ეკონომიკური საქმიანობის შეთანხმებების პროცედურების გამარტივებასთან ერთად ასევე შესაძლებელია შეიცვალოს განმახორციელებელი რგოლიც და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მოხდეს კოლეჯის შვილობილი კომპანიის მიერ ან/და კერძო კომპანიასთან თანამშრომლობის ფორმატში; აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე თუ რა მასშტაბების მიღწევას შეძლებს კოლეჯი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პირველ ეტაპზე და როგორი იქნება კერძო სექტორის ინტერესი აღნიშნულ ფორმატში თანამშრომლობასთან დაკავშირებით;

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სარგებლის განაწილების პრინციპი

მნიშვნელოვანია რომ განისაზღვროს სასწავლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული წმინდა ეკონომიკური სარგებლის განაწილების პრინციპი:

- სასწავლო დაწესებულების მიერ მიღებული წმინდა ეკონომიკური სარგებელი განისაზღვრება მმართველობითი ანგარიშგების ფორმის მიხედვით;
- სასწავლო დაწესებულების მიერ მიღებული წმინდა ეკონომიკური სარგებელი შესაძლოა გადანაწილდეს:
 - დაწესებულების განვითარებისთვის მიზნით - მინიმუმ 50%;
 - საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების მიზნით - მაქსიმუმ 30%;
 - სასწავლო დაწესებულების მმართველობითი რგოლების წახალისება - მაქსიმუმ 5%.